**24(179)** 30 ივნისი, 2000 წ. **პარასკევის გამოშვება** **30 თეთრი**

# ფანტაზია 2000



# რა მოგველის

## XXI საუკუნეში ანუ არტურ კლარკი ნოსტრადამუსის როლში

...სინგაპური ხდება მსოფლიოში პირველი ქვეყანა, სადაც იძულების წესით აღწევენ რეკლამაში სიმართლის ლაპარაკს.

(მე-3 გვერდი)

...სავარაუდოა, რომ თქვენ ის უფრო გიყვართ, ვიდრე არ გიყვართ...

გავრცელებული აზრით, ის კრიმინალურ გარემოშია შექმნილი, თუმცა კი კანონსაწინააღმდეგოს არაფერს შეიცავს...

მას ერთადერთი „ევროპული“ სახესხვაობა გააჩნია, თუმცა კი ჩვენშიც და აზიაშიც არაფუნქციონალური ვარიაციები შეუქმნეს...

(მე-6 გვერდი)

...ალკოჰოლიზმი არის ანესთეზია, რაც გვიადვილებს იმ ოპერაციის გადატანას, რასაც სიცოცხლე ჰქვია.

(მე-8 გვერდი)

**...Так часто обращались к замужней женщине в старом Тбилиси**

(მე-13 გვერდი)

...47 წელიწადი ჰქენჯნიდა სინდისი შვეიცარიის მკვიდრ უ.ნ.სმიტს და აი, ერთ დღეს მან მოინანია თავისი საქციელი...

(მე-13 გვერდი)

- Death, Taxes, and Democrats will always be with us, at least Death never gets any worse!

(მე-16 გვერდი)

სამეცნიერო მხატვრული ლიტერატურა

სკარლეტ ო'ჰარას მამული „ქარწაღებულში“

განათლების მიღების დადასტურების საბუთი

ძველ საქართველოში პოპულ. სახელი კაცისა

ნარიყალაც, მეტეხიც

ხევსურეთის სოფელი

უცხოპლანეტელი

ქიმიური ხსნარი

პირველი კოსმონავტი

აშშ-ს შტატი

ყველაზე პოპულარული ლევანი

ლოკომოტივს მისდევს

სალოცავი

ძვ.რომაელი ისტორიკოსი

(...)-გრეკო

დაცემინება

არშიყი

(......) გორდეზიანი

პოლონეთის მდინარე

დაკეპილი ხორცი

აქვს მხოლოდ თევზს

ნატვრა

...დათვი

სასმელი

ნებაართვა

სამკითხაო ქვიშა

ცხენები

ნოტი

ორგანიზაცია

რუსი კომპოზიტორი

შვედეთის (....)—კრუნერი

აზიის სახელმწ.

აკაკის ....-ხანუმი

# ათასწლეულის დემონები



(მე-14 გვერდი)

**ალექსიპე** - ალექსანდრე მაკედონელის ექიმი.

**ალექსიროე** - ნიმფა.

**ალექსისი** ჟაკ სტეფან - ჰაიტიელი მწერალი.

**ალექსიუ** ელი - XX ს ბერძენი მწერალი.

**ალექსიშვილი** ოთარ – რეჟისორი, საქ. სახალხო არტისტი.

**ალექსიძე** დიმიტრი - დიდი ქართველი თეატრალური რეჟისორი.

**ალექტრიონი** - (ბერძნ. მითოლ.) არესის მოსამსახურე ბიჭი.

**ალეში** მიკოლაშ –XIX-XX ს ჩეხი ფერმწერი.

**ალეჩის მყინვარი** - ალპები, შვეიცარია.

**ალვა** - ტირიფისებრთა ოჯახის ხე.

**ალვანი** (ალონი) - ველი კახეთში (ახმეტის რ.)

**ალვარესი** ლუის - XX ს ამერიკელი ფიზიკოსი.

**ალვარო** კორადო - XX ს იტალიელი მწერალი.

**ალვახაზი** - ნადუღი თაფლისაგან დამზადებული საახალწლო ტკბილეული.

**ალვეარი** კარლოს მარია - არგენტინელი პოლიტ. და სამხედრო მოღვაწე.

**ალვენი** ჰანეს - XX ს შვედი ფიზიკოსი.

**ალვეოლა** - ბუშტული, ფილტვის ბრონქიოლების დაბოლოება.

**ალზი** (ალშე) - ხეთური, ურარტული და ასურული წყაროების თანახმად, ქვეყანა ტიგრის ზემო დინებაში.

**ალთაი** - მთათა სისტემა სამხრ. ციმბირში.

**ალთაია** - ძვ.ბერძ. მითოლოგიაში მელეაგროსის დედა.

**ალთაფა** - სპილენძის ხელსაბანი ჭურჭელი.

**ალთემენე** - ძვ.ბერძ. მითოლოგიაში კრეტის მეფის - კატრევსის ვაჟი.

**ალთინგი** - ისლანდიის პარლამენტი.

**ალთინთაღი** - ქედი ჩინეთში.

**ალთინთეფე** - ურარტული ციხე-ქალაქის ნანგრევები თურქეთში.

**ალთინსარინი** - პირველი ყაზახი პედაგოგი-მწერალი.

**ალთიუსერი** ლუი - XX ს ფრანგი ფილოსოფოსი, მარქსისიტი.

**ალთუზიუსი** იოჰან - შუა სს გერმანელი იურისტი.

**ალთუნი** - შუა სს თურქული ოქროს მონეტა.

**ალი** იბნ აბუ ტალიბი (602-661) - არაბეთის სახალიფოს მეოთხე „მართლმორწმუნე“ ხალიფა.

**ალი** - 1) ნიკო ლომოურის მოთხრობა; 2) ნადირთა და ტყის წყლის პატრონი, მაცდური ქალი; 3) სოფელი ხაშურის რ

**ალია** - 1) ებრაელთა რეპატრიაცია; 2) თანამედროვე ქართული გაზეთი; 3) მდინარე იტალიაში, ტიბრის შენაკადი.

**ალიაბადი** - ბრინჯაოს ხანის ნასოფლარი სამხრ.-დასავლეთ ირანში.

**ალიაბიევი** ალექსანდრე - XVIII ს რუსი კომპოზიტორი.

**ალიანსი** - კავშირი, გაერთიანება.

**ალიაქოთი** - იგივე აურზაური.

**ალიბარი** - სოფელი ზნაურის რ

**ალიბეკი** - მწვერვალი აფხაზეთის კავკასიონის მთავარ წყალგამყოფ ქედზე.

**ალიბი** - უდანაშაულობის მტკიცებულება.

**ალიბუხარი** - ქლიავის ჯიში.

**ალიგარჰი** - ქალაქი ჩრდ. ინდოეთში.

**ალიგატორი** - ნიანგების რიგის ქვეწარმავალი.

**ალიგერი** მარგარიტა - XX ს რუსი პოეტესა.

**ალიგოტე** - ფრანგული თეთრყურძნიანი საღვინე ვაზის ჯიში.

**ალიდადა** - გეოდეზიური კუთხსაზომი ხელსაწყოების დეტალი.

**ალიდები** - 1) შიიტების მეორე სახელწოდება; 2) ფეოდალ. დინასტია მუსლიმან. აღმოსავლეთში.

**ალიე** - მდინარე საფრანგეთში, ლუარის შენაკადი.

**ალიევა** ფაზუ - დაღესტნელი ხუნძი პოეტი ქალი.

**ალიევი** ჰეიდარ - აზერბაიჯანის ახლანდელი პრეზიდენტი.

**ალიენდე გოსენსი** სალვადორ - ჩილეს პრეზიდენტი 1970-73 წწ

**ალიზარინი** - ორგანული ნაერთი, ნარინჯისფერი კრისტალური ნივთიერება.

**ალიზი** - საშენი მასალა, მზეზე გამომშრალი, გამოუწვავი აგური.

**ალიკანტე** - ქალაქი-პორტი სამხრ-აღმ. ესპანეთში.

**ალიკაპი** - ხის ალვირი (საბა).

**ალიკატა** მარიო - იტალიის მუშათა მოძრაობის მოღვაწე.

**ალილენგიუმი** - სახელმწიფო ბეგარა ბიზანტიაში.

**ალილო** - ქართული საწესო სიმღერა, სრულდებოდა შობის წინა ღამეს.

**ალილუევა** სვეტლანა - იოსებ ბესარიონის ძე სტალინის ქალიშვილი.

**ალილუია** - იუდაიზმში უფლის სახოტბო შეძახილი.

**ალიმენტაცია** - ბავშვებისადმი გაწეული სახელმწიფო დახმარება ძველ რომში.

**ალიმენტი** - სარჩო, რომელიც ეძლევა ნათესავს ნათესავისაგან.

**ალიონი** - 1) სოფელი ხობის რ; 2) განთიადი; 3) საქ. ტელევიზიის I არხის დილის გადაცემა.

**ალიოშინი** სამუილ - XX ს რუსი დრამატურგი.

**ალიოხინი** ალექსანდრე - მსოფლიოს ჩენპიონი ჭადრაკში 1927-35, 1937-46 წლებში.

**ალისარჩული** - ერთწლოვანი კულტურული სადღები მცენარე.

**ალისმერეთი** - სოფელი ბაღდათის რ

**ალისუბანი** - სოფელი თერჯოლის რ

**ალიტერაცია** - სალექსო ტაეპებში, ფრაზაში, სტროფში ერთი და იმავე ან მსგავსი თანხმოვნის გამეორება.

**ალიტირება** - დაალუმინება, ლითონთა ზედაპირის ალუმინით გაჯერება.

**ალიტუსი** - ქალაქი ლიტვაში.

**ალიქაში** - თივის თოკი (საბა).

**ალიყური** - სილის გაწვნა.

**ალიშანი** ლეონიდ - XIX ს სომეხი პოეტი, ისტორიკოსი.

**ალიშაჰბანა** სუტან ტაკდირ - XX ს ინდონეზიელი მწერალი.

**ალკაბალა** - გადასახადი სავაჭრო ბრუნვაზე.

**ალკადიენები** - უჯერი ნახშირწყალბადები.

**ალკათოოსი** - ძვ. ბერძ. მითოლოგიაში მეგარელი გმირი.

**ალკალიმეტრია** - ნივთიერების რაოდენობის განსაზღვრა ტუტის საშუალებით.

**ალკალოზი** - ორგანიზმის ტუტე-მჟავური წონასწორობის დარღვევა.

**ალკალოიდები** – ფიზიოლოგიურად აქტიური, ფუძე თვისებების მქონე, მცენარეული წარმოშობის აზოტშემცველი ორგ. ნაერთები.

**ალკამენე** - ძვ.წ. V ს ბერძენი მოქანდაკე.

**ალკანა** - ბალახოვანი მცენარეების გვარი ლაშქარასებრთა ოჯახისა.

**ალკანტარა** - ადრეფეოდალური ეპოქის ესპანური სასულიერო რაინდული ორდენი.

**ალკენები** - უჯერი ნახშირწყალბადები.

**ალკეოსი** - ძვ. VII-VI სს ბერძენი პოეტი.

**ალკესტიდა** -„მარად ახალგაზრდა“ ქალი ძვ. ბერძნ მითოლოგიიდან.

**ალკიბიადე** - ძვ.წ. V ს ათენელი პოლიტ. მოღვაწე.

**ალკილები** - ნაჯერი ნახშირწყალბადების ერთვალენტოვანი რადიკალები.

**ალკილირება** - სხვადასხვა ქიმ. ნაერთში ალკილის ჯგუფების შეყვანა.

**ალკიმედე** - ძვ. ბერძნ მითოლოგიაში იასონის დედა.

**ალკიო** სანტერი - XIX-XX სს ფინელი მწერალი და საზ. მოღვაწე.

**ალკიონე** - ძვ.ბერძნ. მითოლოგიაში პოსეიდონის სატრფო.

**ალკისნაირნი** - ზღვის ფრინველთა ნაირსახეობანი.

**ალკიფრონი** - II ს ბერძენი რიტორი და სოფისტი.

**ალკმარი** - ქალაქი ნიდერლანდში.

**ალკმანი** - ძვ.წ. VII ს ბერძენი პოეტი.

**ალკმეონიდები** - ძვ. ათენის არისტოკრატული საგვარეულო.

**ალკოი** - ქალაქი ესპანეთში (ალიკანტეს პროვინცია).

**ალკორი** - დიდი დათვის თანავარსკვლავედში მეოთხე სიდიდის ვარსკვლავი.

**ალკოჰოლიზი** - ნივთიერებათა მიმოცვლითი დაშლა სპირტებთან ურთიერთქმედებისას.

**ალკოჰოლიზმი** - სპირტიანი სასმელების სისტემატური სმით გამოწვეული დაავადება.

**ალკოჰოლომეტრია** - ალკოჰოლიან ხსნარებში ეთილის სპირტის შემცველობის განსაზღვრა.

**ალკუინი** ფლაკუს ალბინუსი - VIII ს ანგლოსაქსი მეცნიერი, საეკლესიო მოღვაწე.

**ალკუნისებრნი** - ფრინველთა ოჯახი ყაპყაპინაირთა რიგისა.

(1668)

# ემოციები



| | | | | | | | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| ა | ღ | ტ | ა | ც | ა | ა | ბ | ე | ნ | | | | | | |
| ი | ტ | ი | ს | ე | ნ | რ | გ | ი | ვ | | | | | | |
| ნ | ს | ხ | ა | ბ | ა | ა | მ | პ | | | | | | | |
| ქ | ნ | ა | ბ | ა | ჟ | ა | ა | ე | | | | | | | |
| ტ | ი | რ | ე | ქ | ა | ბ | ე | ა | კ | ი | ც | ო | ხ | რ | ო |
| ი | ე | უ | თ | ო | ფ | შ | თ | ბ | ი | გ | ა | კ | ვ | მ | ხ |
| ი | ლ | ლ | ი | ხ | მ | ე | ე | ე | ვ | ი | ლ | ი | ი | გ | ზ |
| მ | ა | ვ | რ | უ | უ | შ | ვ | ნ | გ | ო | ა | გ | რ | ა | ნ |
| ზ | შ | უ | რ | ი | დ | რ | კ | ს | ე | ა | ბ | ე | ვ | მ | ე |
| ი | უ | ს | ნ | ე | ს | ტ | ვ | ი | პ | ი | თ | ა | ლ | ა | ბ |
| ლ | ა | ი | ლ | ე | ვ | ნ | ი | ლ | უ | ს | ა | ბ | ე | რ | ა |

1. შეხედეთ ზედა მარჯვენა ფოტოს და აღნიშნული ემოციური განწყობის შესაბამისი სიტყვა მოძებნეთ კროსვორდის ბადეში.

2. ემოციურობის თვალსაზრისით როგორი იყო ჩვენთვის კარგად ცნობილი ლუარსაბის ცხოვრება?

3. დახედეთ № 1 ფოტოს და ამ ქალბატონის ემოციური განწყობის შესაბამისი სიტყვა მოძებნეთ კროსვორდის ბადეში.

4. დახედეთ № 2 ფოტოს და ამ ქალბატონის ემოციური განწყობის შესაბამისი სიტყვა მოძებნეთ კროსვორდის ბადეში.

5. სატირულ გრძნობათა გამომხატველი ლექსის სახეობა.

6. დახედეთ № 3 ფოტოს და ამ ქალბატონის ემოციური განწყობის შესაბამისი სიტყვა მოძებნეთ კროსვორდის ბადეში.

7. ფილოსოფიური მიმართულება, რომელიც შემეცნების ერთადერთ წყაროდ შეგრძნებებს, ემოციებს მიიჩნევს.

8. დადებითი ემოციის ერთ-ერთი უკიდურესი გამოვლინება.

9. სატრფიალო ურთიერთობათა თანამდევი ემოცია.

10. მხიარული განწყობის უკიდურესი და არცთუ ესთეტური გამოვლინება.

11. ბიჭუნა ქართული ლიტერატურიდან, რომელიც ზედმეტმა მგრძნობელობამ ერთხანს დაამუნჯა კიდეც.

12. ეპითეტი, რომელიც კომუნუსტურ ღონისძიებათა თანამდევი ოვაციებს ერთვოდა წინ.

13. გაუაზრებელი, გრძნობებზე დაფუძნებული ლტოლვის მამოძრავებელი „ძალა“.

14. ემოცია, რომელსაც ავლენს შეყვარებული (ნამდვილად) და ტრიბუნასთან მდგომი (მოჩვენებით).

15. საქორწილო ვნებათაღელვაზე დაფუძნებული სახეობა ლექსისა.

16. როგორც სულხან-საბა იტყოდა, წუხილი სხვისა სიკეთესა ზედა ანუ რა?

17. გაოცების უკიდურესი ფორმა, რაც გონების სრულ იგნორირებიას ითვალისწინებს.

18. ემოციური „ქმედება“, რომელსაც განწირულობის „სტატუსი“ მიანიჭა ბარათაშვილმა თავის ყველაზე ცნობილ ლექსში.

1



2





3

## კომპიუტერული თამაშების მოყვარულთათვის

ვენაში გამომავალი გაზეთის, „კურირის“ ცნობით, ახლახანს აშშ-ს კომპიუტერული თამაშების კატალოგში გაჩნდა ახალი თამაში, რომელსაც „განქორწინება“ ჰქვია. მასში მონაწილეობა შეუძლიათ ქალსა და მამაკაცს, რომელთაც განსხვავებული მიზნები გააჩნიათ: იმისათვის, რომ გაიმარჯვოს მამაკაცმა, მან მეუღლესთან განშორებისას მინიმალური დანახარჯები უნდა გაწიოს, ქალს კი სხვა მიზანი აქვს - მან განქორწინებამდე ქმრის ქონებიდან მაქსიმალურად დიდი ოდენობა უნდა მიიტაცოს...

**...ჩვენ კი კომენტარებისაგან თავს ვიკავებთ!...**



*ფანტაზიის დი-*

**არტურ ჩარლზ კლარკი, დაიბადა 1917 წლის 16 დეკემბერს. ინგლისელი მწერალი-ფანტასტი. გთავაზობთ მის წინასწარმეტყველებებს XXI საუკუნისათვის, რომლებიც მისივე მხატვრული ნაწარმოებებიდანაა ამოკრებილი.**

**2001** წ. - კოსმიური ზონდი „კასინი“ (გაშვებული 1997 წელს) მიაღწევს რა პლანეტა სატურნს მისი რგოლების გამოკვლევას შეუდგება.

**2002** წ. - ბაზარზე გამოჩნდება პირველი მოწყობილობა, რომელიც დაბალტემპერატურიანი ბირთვული რეაქციების საშუალებით სუფთა და უხიფათო ენერგიას გამოიმუშავებს. დადგება წიაღისეული საწვავის დასასრულის ერა და ჩვენს პლანეტას შეაზანზარებს ამ მოვლენასთან დაკავშირებული ეკონომიური და გეოპოლიტიკური კატაკლიზმები.

**2003** წ. - საავტომობილო წარმოებას მიეცემა 5 წელი, რათა გადავიდეს საწვავის ახალ ენერგოდანადგარებზე.

**2004** წ. - კაცობრიობა პირველად აღიარებს კლონირებას.

**2005** წ. - ნასა-ს მიერ ორი წლით ადრე გაშვებული „მარს სერვეირი“ დედამიწაზე გამოაგზავნის „წითელი პლანეტის“ ნიადაგის პირველ ნიმუშებს.

**2006** წ. - ინდოეთში დაიხურა დედამიწის უკანასკნელი ქვანახშირის მოსაპოვებელი მაღარო.

**2009** წ. - ჩრდილოეთ კორეაში შემთხვევით აფეთქებული ატომური ბომბი მთლიანად გაანადგურებს ქალაქს და გაერო-ს მოკლე დებატების შემდეგ მთელი ატომური იარაღი განადგურდება.

**2011** წ. - ფირზე გადაიღეს დედამიწაზე არსებული ყველაზე დიდი ცხოველი - 75-მეტრიანი რვაფეხა, რომელიც მარიანის ღრმულში ბინადრობს.

**2012** წ. - იწყება აეროკოსმოსური თვითმფრინავების ექსპლუატაცია. კოსმიურ მოგზაურობათა ისტორია იმეორებს აერონავტიკის ისტორიას, ოღონდ უფრო მეტი შეყოვნებით; გაგარინის პირველი გაფრენიდან პირველ კომერციულ კოსმიურ გაფრენამდე გასულია ორჯერ მეტი დრო, ვიდრე ძმები რაიტების პირველი საავიაციო რეისიდან პირველ კომერციულ ავიარეისებამდე.

**2013** წ. - ბრუნეის პრინცი ხდება პირველი არაკოსმონავტი დედამიწელი, რომელიც კოსმიურ ფრენას ასრულებს.

**2014** წ. - იწყება სასტუმრო „ორბიტალური ჰილტონის“ მშენებლობა.

**2015** წ. - ტყვია და სპილენძი ორჯერ უფრო ძვირი ხდება, ვიდრე ოქრო, რადგან ისინი უფრო საჭირონი ხდებიან კოსმიურ წარმოებაში.

**2016** წ. - ყველა არსებული ვალუტა იგნორირებულია. ანგარიშსწორების ერთეული ხდება „მეგავატ-საათი“;

- არტურ კლარკი ხდება „ორბიტალური ჰილტონის“ პირველი სტუმარი“.

**2019** წ. - უზარმაზარი მეტეორი ჩრდ. პოლუსის ყინულოვან ქუდზე ეცემა. მსხვერპლი არ არის, მაგრამ დარტყმის შედეგად წარმოქმნილი ცუნამი კანადისა და გრენლანდიის ნაპირებს აზიანებს.

**2020** წ. - ხელოვნური ინტელექტი ადამიანის აზროვნების დონეს უახლოვდება. ასეთი ინტელექტით აღჭურვილი კოსმიური ზონდები უახლოესი ვარსკვლავებისაკენ იგზავნება.

**2021** წ. - პლანეტა მარსზე პირველი ადამიანები ჩადიან; მათ იქ სიურპრიზები ელით, მათ შორის უსიამოვნოც.

**2023** წ. - კომპიუტერის საშუალებით მოდელირებული დნმ-თი დინოზავრების კლონირება ხდება. „დისნეილენდი“ ფლორიდაში ხსნის იურული პერიოდის ზოოპარკს.

**2024** წ. - ხდება დაფიქსირება „ირმის ნახტომის“ გალაქტიკიდან მომავალი ინფრაწითელი სხივებისა. სავსებით ცხადია, რომ ეს არის ტექნოლოგიურად მაღალგანვითარებული ცივილიზაციის პროდუქტი, მაგრამ მათი გაშიფრვა არ ხერხდება.

**2026** წ. - სინგაპური ხდება მსოფლიოში პირველი ქვეყანა, სადაც იძულების წესით აღწევენ რეკლამაში სიმართლის ლაპარაკს.

**2036** წ. - ჩინეთი უსწრებს აშშ-ს და ხდება მსოფლიოში ყველაზე განვითარებული ეკონომიკის მქონე ქვეყანა.

*(დასასრული შემდეგ ნომერში)*




| 1 | 2 | 3 | 4 | 5 | 6 | 7 | 8 | 9 | 10 | 11 | 12 | 13 | 14 | 15 | 16 | 17 | 18 | 19 | 20 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | | | | | | | | | | | | | | | | | | |
| 21 | 22 | 23 | 24 | 25 | 26 | 27 | 28 | 29 | 30 | 31 | 32 | 33 | 34 | 35 | 36 | 37 | 38 | 39 | 40 |
| | | | | | | | | | | | | | | | | | | | |

**01–50 ქულა** — კეთილი იყოს თქვენი მობრძანება!
**51–100 ქულა** — მე-2 თანრიგი **101–140 ქულა** — 1-ლი თანრიგი
**141–180 ქულა** — ოსტატი
**181–200 ქულა** — დიდოსტატი
**201–208 ქულა** — ბრავო, მაესტრო!
**210 ქულა** — ეს კროსვორდი თქვენ ხომ არ შეადგინეთ?!
(პასუხები იხილეთ მე-13 გვერდზე)

1. ფლამანდელი „პერსონაჟი“ კინოფილმისა „რაც გინახავს, ვეღარ ნახავ“ (**7**). 2. თანამედროვეობის უძლიერესი ფინელი ფეხბურთელი (**8**). 3. უგვარო, უდინასტიო ანუ როგორი (**4**)? 4. კომუნისტური რევოლუციებიდან და ომებიდან ცნობილი ვინმე „ბატკო“ (**6**). 5. ფასიანი ქაღალდის სახესხვაობა (**3**). 6. XX ს ესპანელი მწერალი, მიგელ დე... (**8**). 7. მომწარო ნაყოფის მქონე ერთგვარი ციტრუსოვანი მცენარე (**6**). 8. საკალათბურთო შეცდომა (**3**). 9. პოლონეთის ისტორიაში „ყველაზე ცნობილი“ კაპიტანი (**5**). 10. საფრენი აპარატების მოწყობილობა (**6**). 11. ერთხელ აკაკი წერეთელს ერთი ბავშვისთვის უთქვამს:

„თუ არ ჭამე (......რა?)

მიგტყეპავენ, ვერ გიშველი“-ო (**4**).

12. ერთ-ერთ ქვეყანასთან „დაკავშირებული“ ქიმიური ელემენტი (**6**). 13. მცოხნავი ცხოველის კუჭის პირველი განყოფილება (**3**). 14. მდინარე საქართველოში (**2**). 15. მხატვრის მიერ გაკეთებული ფორმიდან გადაღებული ანაბეჭდი ქაღალდზე (**9**). 16. აბანოს სახესვაობა (**4**). 17. პიროვნება, რომელმაც უშუალო მონაწილეობა მიიღო იულიუს კეისარის მკვლელობაში (**8**). 18. ჭუჭრუტანიდან ბნელში შემოსული სინათლის სხივი (**3**). 19. კლოუნის ნომერის სახესხვაობა ცირკში (**7**). 20. ახლო წარსულის საქართველოს ცნობილი პოლიტიკური და სამეურნეო მუშაკი (**5**). 21. ამა თუ იმ სატრანსპორტო საშუალების „სავიზიტო ბარათი“ (**4**). 22. „ბითლზის“ ერთ-ერთი წევრი (**5**). 23. სიმღერაში ერთ-ერთი წვრილი ხმა (**5**). 24. სასქესო ჯირკვლების ამოკვეთა (**4**). 25. შეიძლება ითქვას, კუკარაჩას სულიერი მოძღვარი... გარკვეულწილად (**4**). 26. გერმანელი მწერალი, ფრიდრიხ გოტლიბ (1724-1803)... (**9**).. 27. სასულე მუსიკალური ინსტრუმენტი (**5**). 28. მათემარიკურ ცნებად ქცეული ჩვეულებრივი ქართული სიტყვა (**2**). 29. სახელმწიფო აფრიკაში (**7**). 30. რუსეთის ბუნებისათვის დამახასიათებელი უზარმაზარი გაშლილი სივრცე (**4**). 31. კბილების მოსავლელი პოპულარული პროფილაქტიკური საშუალების სახელი (**6**). 32. სამხედრო მეამბოხეთა გავრცელებული სახელი (**4**). 33. ინგლისში ფართოდ გავრცელებული ბურთიანი თამაში (**6**). 34. ინდოელ გლეხთა შრომა-საქმიანობის დამხმარე არსება (**4**). 35. დედაქალაქი ერთობ ნეიტრალური ქვეყნისა (**7**). 36. ტომრისებური დიდი ბადე გემიდან ზღვაში თევზის საჭერად (**10**). 37. აქ ევროპის ორი სახელმწიფოს დედაქალაქის ჩაწერა შეიძლება... ორივე მიიღება (**5**). 38. კინოწარმოების აუცილებელი მონაწილე პირი (**4**). 39. სახელი სამი ცნობილი რომაელი პაპისა და პლუს კიდევ რომის ერთი იმპერატორისა (**8**). 40. წამლის ან სუნამოს ჭურჭელი (**3**).

**თარაზულად:** 1. ალღო, წინათგრძნობა ანუ კიდევ რა? 4. XX ს უნგრელი კომპოზიტორი, ბელა.... 7. ქალაქი სამხრეთ საფრანგეთში. 11. ქრისტიანობაში ხმარებული ღვთის სადიდებელი სიტყვა. 18. ნივთი, რომელსაც მეორედ გამოგონება არ სჭირდება. 19. დიდი რუსი თეატრალური რეჟისორი. 20. თამაში მარტოხელა ადამიანებისათვის. 23. რა ერქვა თბილისში დაბადებულსა და გაზრდილს, ერთ-ერთ მსოფლიო ჩემპიონს ჭადრაკში. 24. ჰანს ანდერსენის ერთ-ერთი სახელი. 25. ერთგვარი სამთა კავშირი. 26. ყვავილედის სახე. 31. თანამედროვე საერთო ევროპული ვალუტა. 32. სტუდენტის ჩათვლის წიგნაკის „შინაურული“ სახელი. 33. ქალაქი რუსეთში, როსტოვის ოლქში. 34. შხამიანი გველი. 38. ერთ-ერთი თანამედროვე პროფესიათაგანი, რომელსაც ძირითადად სასმელებთან აქვს საქმე. 39. კუნძული სადაც სახლობდა მინოტავრი. 40. საკურორტო ქალაქი ჩეხეთში. 45. ქვეყნის კეთილდღეობის წარმმართველი სოციალური დაჯგუფება ყოფილ სსრკ-ში. 46. ვინ იყო, ვთქვათ, ჯო მარკ ტვენის „ტომ სოიერის თავგადასავალში“? 47. თხელი ზედაპირის აღმნიშვნელი სიტყვა. 51. მუსიკალური ნაწარმოების ხმით შესრულება. 52. ერთ-ერთი სამკურნალო პრეპარატი. 53. 1970 წლის ბრაზილიის ფეხბურთელტან ნაკრების ერთ-ერთი უძლიერესი წევრი. 54. ზამთრის 1952 წლის ოლიმპიური თამაშების დედაქალაქი. 58. ტანსაცმლის სახეობა, რომლის რუსული სინონიმიც ქალაქმა „ბრიუგემ“ წარმოშვა. 59. როგორ მიმართავდნენ თანამედროვეები ბოლივარს? 60. 90-იანი წლების ბრაზილიელი ფეხბურთელი. 61. მითიური ქვეყანა, სადაც იმოგზაურეს კანდიდმა და პანგლოსმა ვოლტერის მოთხრობაში „კანდიდი“. 66. ობლის წილი პური. 67. არჩევნებში მონაწილეობისაგან მასობრივი თავის არიდება. 68. ძვ. რომაელი იმპერატორის, ადრიანეს ფავორიტი ბიჭუნა, რომელიც გააღმერთეს რომში მას შემდეგ რაც იგი ნილოსში დაიხრჩო. 69. ერთ-ერთი ჯარისკაცი. 73. ხოსროვის სატრფო ნიზამი განჯევის ერთ პოემაში. 74. დაძველებული წყლის სუნი. 75. თეთრი ბოჭკოვანი მინერალი, რომელიც არ ატარებს სითბოს და ელექტრობას. 76. ნარკოტიკული საშუალება. 81. ქალაქი ლიტვაში. 82. კაბის ქვეშ, წელს ზემოთ ჩასადები ბალიში, რომელიც გავრცელებული იყო XIX საუკუნის ბოლოს. 83. უკიდურესი მშვენიერება-გონიერების გამომხატველი ერთგვარი „სამეცნიერო-პოპულარული“ ზედსართავი სახელი. 88. ფიზიკის ერთ-ერთი ნაწილი. 89. გამოყენებითი, ანუ როგორი? 90. განის დედაქალაქი. 94. XX საუკუნის ქართველი კომპოზიტორი, ავტორი ცნობილი სიმღერისა „ბუჰენვალდის ზარები“. 95. ელექტროძრავის შემადგენელი ნაწილი. 96. სოფელი სიღნაღის რაიონში. 97. მედიცინის მფარველი ღვთაება ძველ რომში. 101. თავთავიანი კულტურების ნათესი. 102. ევროპის სახელმწიფო. 103. მმართველობის ფორმა, რომლის დროსაც ქვეყანას მართავს გამდიდრებული მცირერიცხოვანი ჯგუფი. 104. სოფელი ადიგენის რაიონში. 108. დიდი ბერძენი მეიგავის ეზოპეს მშობლიური მხარე ძველ საბერძნეთში. 109. თარგმნეთ ძვ. ბერძნულად „ჭექა-ქუხილი“, მიუმატეთ იმავე ენაზე „ხვლიკი“ და რომელი დინოზავრის სახელიც გამოგივათ აქ ჩაწერეთ. 110. იუგოსლაველი ბელადის სახელობის ქალაქი. 114. XX საუკუნის ავსტრიელი ფერმწერი და დრამატურგი, ექსპრესიონიზმის წარმომადგენელი. 115. აქ ერთი ვაჟასეული პოემის სახელი ჩაწერეთ. 116. თუ ლიტვის ყოფილი პრეზიდენტის ლანდსბერგისის სახელი გახსოვთ, გთხოვთ აქ ჩაწეროთ. 121. თარგმნეთ იტალიურად „სიმღერა“ და რომელ მუსიკალურ-ვოკალურ ნწარმოებსაც მიიღებთ აქ ჩაწერეთ. 122. თუ იცით, რა ეწოდებოდა შუა საუკუნეების გერმანიაში ვაჭართა გაერთიანებებს და კავშირებს... თუ არ იცით მაშინ იმავე სახელწოდების მქონე ბერლინის საფეხბურთო კლუბი გაიხსენეთ. 123. საბაზრო ეკონომიკის ერთ-ერთი სექტორირომელსაც აკისრია სოფლის მეურნეობაზე თვალყურის დევნება. 124. ძველი აღთქმის ებრაული სახელი. 129. რა ერქვა ერთ ცნობილ ლიტერატურულ ბიჭუნას, ბეკი ტეტჩერის შეყვარებულს? 130. საქმე, რომელსაც მისდევდა პოლიკარპე კაკაბაძე. 131. ამერიკელი მხატვარი და გამომგონებელი. 132. ძველი საბერძნეთის მხარე. 136. თვალებში შესაყრელი რამ, ერთი გამოთქმის თანახმად. 137. მეძავობა, მრუშობა... კიდევ? 138. იგივეა, რაც ბუასილი. 139. ქალის ტანსაცმილის ატრიბუტი და ერთ-ერთი ტექნიკური სიმახინჯე, რომელიც ქალებს სხეულს უმახინჯებდა გასულ საუკუნეებში. 144. ორთქლის სითხედ გადაქცევის პროცესი. 145. ყველაზე ცნობილი ამერიკელი პოეტესა, ემილი.... 146. მუსლიმანი რელიგიური მმართველი. 151. მოლიერის, ბაირონის და პუშკინის საერთო პერსონაჟი. 152. სიგრძის არატრადიციული ჯერადი ერთეული. 153. მდინარე ეირის პირას გამოყვანილი ძაღლის ჯიში. 154. ბიზანტიის იმპერატორთა ტიტული. 155. როგორი საკვებია, ვთქვათ, შოკოლადი? 156. სამწერლო ასპარეზზე მოღვაწე პირი.

**შვეულად:** 1. ცხოველის ზურგის უკანა ნაწილი. 2. სპილენძის შენადნობი ნიკელთან. 3. ეგვიპტის პრეზიდენტი 1956-1970 წლებში. 5. ვერდის ოპერა, რომელიც პირველად დაიდგა სუეცის არხის გახსნის დღეს. 6. გაიხსენეთ მსოფლიოს ერთ-ერთი შვიდ საოცრებათაგანი და აქ ძალიან დიდის აღმნიშვნელი სიტყვა ჩაწერეთ. 8. გერმანიის საფეხბურთო კლუბი. 9. ცეცხლის დასანთები ადგილი მიწის იატაკზე. 10. თავისუფალი და თვითმყოფადი, ანუ როგორი? 12. ზუთხისებრთა ოჯახის თევზი. 13. მთიელთა სატრფო. 14. ატომური ბომბის შემქმნელი ამერიკელი მეცნიერი. 15. მეგრული სიმღერა. 16. გაიხსენეთ აურზაურის ერთ-ერთი სინონიმი და აქ იმ არსების სახელი ჩაწერეთ, რომელმაც სახელი ამ სიტყვის ნახევრისაგან მიიღო... ტელევიზიაში 17. ქალაქი უკრაინაში. 21. XX საუკუნეში მოღვაწე ფრანგი მხატვარი, კუბიზმის ერთ-ერთი მამამთავარი პაბლო პიკასოსთან ერთად. 22. ქალაქი ლატვიაში, მდინარე დაუგავაზე. 27. პირველი ქალი, რომელიც იური გაგარინის გზას დაადგა. 28. XX საუკუნის ავსტრიელი ფიზიკოსი-თეორიტიკოსი, პაულ..... 29. ტროას ცხენი იცით რაც არის? ...კეთილი, რომელი ტომის წარმომადგენლებს ეკუთვნით ეს საჩუქარი ისიც იცით? ...მაშინ, აქ ამ ტომის ცალკეული წარმომადგენელი ჩაწერეთ ზოგადად. 30. ორი ასოსაგან შემდგარი სიმბოლო, რომელიც აღნიშნავს ტექსტში ფონეტიკურ ერთეულებს. 35. ჩვენი მინერალური წყალი. 36. კაზაკთა სოფელი. 37. ერთ-ერთი რომაული ბორცვი. 41. მას შემდეგ, რაც სტივენ სპილბერგის „ყბები“ გამოვიდა ეკრანებზე, სწორედ ასე უწოდებენ მაღალბიუჯეტიან ფილმებს... მაინც როგორ? 42. რა არის „სსრკ“ თავისი არსით? 43. ძველებური ფრანგული და ესპანური ოქროს მონეტა. 44. ცნობილი ფილმი, ნიკოლოზ II-ის ქალიშვილის შესახებ. 48. ადამიანის რაიმე ორგანოს ფუნქციების შესუსტება ან კვდომა. 49. ზვიად გამსახურდიას ლექსი. 50. ლაერტისა და ოფელიას მამა და ჰამლეტის მსხვერპლი... იცით, ალბათ, რომელ ნაწარმოებშიცაა და აღარ დავაკონკრეტებთ. 55. თარგმნეთ ლათინურად „სხვა ადგილას“. 56. აქ იმ „ქვის“ სახელი ჩაწერეთ, რომელსაც სახელი ქალაქმა მაგნესიამ მისცა. 57. სახელმწიფოთა შორის რაიმე სპეციალურ საკითხზე დადებული ხელშეკრულება. 62. იგივეა, რაც ექიმიმეანი. 63. ავთანდილის მსახური. 64. მდინარე, რომლის ნათლიაც შავი ზღვის პირას მობინადრე მითიური მეომარი ქალი გახდა. 65. ის, რაც სჭირდება ჰომეროსს, არისტოტელეს და... ფეხბურთს. 70. ჟანგბადიანი ნაერთი, რომელიც წყალთან შეერთებით იძლევა მჟავას. 71. თირკმელების ანთება. 72. XVI ს ჰოლანდიელი ფერმწერი-მარინისტი. 77. ვამპირის მაგვარი არსება საშინელებათა თემაზე შექმნილ ნაწარმოებებში. 78. ერთგვარი ვაზის ჯიში. 79. გეოგრაფიული რუკების შედგენის მეცნიერება. 80. ეფრონის კოლეგა ენციკლოპედიების წარმოების საქმეში. 84. გერმანიის ერთ-ერთი ფედერალური მიწა. 85. მრავალტიტულოვანი რუსი მოთხილამურე ქალი. 86. სამკურნალო დაწესებულება. 87. ქალაქი კანადაში. 91. უპირატესად როგორია ხოლმე სურვილასრულებული პირი? 92. დამუშავებული ალმასი. 93. კარლო გოცის კომედია. 98. ერთთათვის ის ხელოვნებაა, მეორეთათვის, რომელთაც უყვართ ლოგიკა და ზუსტი ანალიზი, მეცნიერება, მესამეთათვის კი, რომელთაც უყვართ შეჯიბრი და აზარტი, სპორტი...რა ჰქონდა მხედველობაში ერთ გაზეთს ამ სიტყვების დაწერისას? 99. რა ჰქვია ნორვეგიის პარლამენტს? 100. 50-იანი წლების უძლიერესი საბჭოთა ფეხბურთელი მოსკოვის „სპარტაკიდან“. 105. სათავადაზნაურო ტიტული შუა საუკუნეების ევროპაში. 106. ადგილი, სადაც აგზავნიდა ოფელიას გალაკტიონი ლექსში „ჰამლეტის ქნარით“. 107. ერთ-ერთი ცნობილი მონარქი აქემენიდების დინასტიიდან. 111. საგნის საერთო გარეგანი მოხაზულობა. 112. მწერების შემსწავლელი მეცნიერება. 113. კაცობრიობის განვლილი გზა. 117. სამხრეთ ამერიკის ტროპიკულ ტყეებში გავრცელებული ძუძუმწოვარა. 118. რაიმეს აღდგენა. 119. „ნათლიმამას“ ავტორი. 120. ფსიქიკური უუნარობა. 125. აშშ-ს ცნობილი უნივერსიტეტი. 126. ამაღლებული ადგილი ეკლესიაში. 127. ქართველ მთიელთა სიმღერა. 128. სამეფო მე-7-9 საუკუნეებში დღევანდელი ინგლისის ტერიტორიაზე. 133. ერთ-ერთი თანამედროვე მოქმედი ჩვენი ტურისტული ფირმა. 134. შერლოკ ჰოლმსის მთავარი მტერი. 135. მეძებარი ძაღლის ჯიში. 140. ჰანს ქრისტიან ანდერსენის მშობლიური ქალაქი. 141. მეცნიერება, რომელსაც სახელი ძვ. ბერძნულმა სიტყვა „ბუნებამ“ მისცა. 142. საფრანგეთის საფეხბურთო კლუბი. 143. 1956 წლის ზამთრის ოლიმპიური თამაშების დედაქალაქი – კორტინა-დ'.......(მერე?). 147. ერთგვარი გაერთიანება. 148. პირველი მეზღაპრე მსოფლიო ლიტერატურის ისტორიაში. 149. მალამოზე დასადები რამ. 150. „ვეფხისტყაოსნის“ დამსურათებელი არაქართველი.

**შეადგინა ვახო ელერდაშვილმა**



# ფანტაზიორი

რუბრიკას უძღვება
ვახტანგ ელერდაშვილი
(პასუხები მე-13 გვერდზე)

***კითხვა №1***

ის, ისტორიული ცნობების თანახმად, თავდაპირველად არ მიიღეს თანამოძმეთა საზოგადოებაში თავის არარაობისა გამო, თუმცა კი მალე დარწმუნდნენ, რომ მას თანამოძმეთა ფუნქციონალური გაზრდის დიდი უნარი გააჩინია და შესაბამისი ადგილიც მიუჩინეს აღნიშნულ საზოგადოებაში...

**რა იგულისხმება? (5 ქულა)**

***კითხვა №2***

სავარაუდოა, რომ თქვენ ის უფრო გიყვართ, ვიდრე არ გიყვართ...

გავრცელებული აზრით, ის კრიმინალურ გარემოშია შექმნილი, თუმცა კი კანონსაწინააღმდეგოს არაფერს შეიცავს...

მას ერთადერთი „ევროპული“ სახესხვაობა გააჩნია, თუმცა კი ჩვენშიც და აზიაშიც არაფუნქციონალური ვარიაციები შეუქმნეს...

**რა იგულისხმება? (7 ქულა)**

***კითხვა №3***

20-იანი წლების დასასრულს პატარა გერმანულ ქალაქ ჰიდსბურგსჰაუზენში ადოლფ ჰიტლერს მიანიჭეს ჟანდარმერიის კომისრის ჩინი; ცხადია, მომავალ ფიურერს ერთი დღეც არ უმუშავია აღნიშნულ თანამდებობაზე, რადგან უკვე მაშინ ესწრაფვოდა დიდ პოლიტიკურ კარიერას; მიუხედავად ამისა, აღნიშნული ღონისძიება მაინც არ ატარებდა დეკორატიულ ხასიათს და ჰიტლერი ფრიად და ფრიად გაახარა...

**რამ გაახარა ჰიტლერი? (8 ქულა)**

***კითხვა №4***

ეს ამსტერდამელი მოქალაქე მთელ დღეებს თავის მაღაზიაში ატარებდა... ღამღამობით კი აკეთებდა იგივეს, რითაც გალილეო გალილეი იყო დაკავებული სამოცდაათი წლით ადრე. თუმცა, კაცმა რომ თქვას, ამ ამსტერდამელის საქმიანობას გალილეისაგან ერთი პრინციპული საკითხი განასხვავებდა... მიმართულება?

**რა გამოიგონა მან? (11 ქულა)**

***კითხვა №5***

კავალერისტისათვის ეს უადვილესი ქმედებაა; ამის გაკეთება შეუძლია ქვეითსაც, თუ მისი ცხოვრება კარგად წარიმართა. აი, სამეფო ოჯახის წევრებს კი ამის გაკეთებაზე ოცნებაც კი არ შუძლიათ...

**რა ქმედებაა ეს? (5 ქულა)**

**კითხვა №6**

ბლეზ პასკალის აზრით, მხატვრულ ნაწარმოებს ერთი მთავარი კრიტერიუმი უნდა გააჩნდეს - იყოს ყველასათვის გასაგები. ამსათან დაკავშირებით იგი წერდა - „საუკეთესო წიგნებად ის წიგნები შეიძლება ჩაითვალოს, რომელთა კითხვისას თითოეულ პიროვნებას ექმნება რწმენა იმისა, რომ....

**დაასრულეთ პასკალის აზრი? (10 ქულა)**

***კითხვა №7***

XVII საუკუნიდან ევროპულ მოდაში ძალზედ პოპულარულნი იყვნენ პრანჭია ქალბატონები, რომლებმაც ყოველდღიური ცხოვრებიდან განდევნეს ყველაზე ჩვეულებრივი სიტყვები და მათ შემცვლელი ფრაზები შეუქმნეს; ასე მაგალითად: „ნარნარად მოძრავი“ შეენაცვლა „ხელს“, „საუბრის ხელშეწყობის საშუალება“ დაერქვა „სავარძელს“ და ა.შ.

**რა იგულისხმებოდა ფრაზაში „გრაციის მრჩეველი“? (9 ქულა)**

***კითხვა №8***

ეპოქალური მნიშვნელობის სასამართლო საქმიანობათა პრაქტიკაში პირველად ნიურნბერგში გამოიყენეს საქმის წარმართვის სიახლე, რაზედაც ჰერმან გერინგმა იჩივლა კიდეც, რომ ის მას სიცოცხლეს უმოკლებდა...

**რა სიახლე იყო ეს? (11 ქულა)**

***კითხვა №9***

ოდესელმა ბიზნესმენებმა ერნსტ ნეიზვესტნის შეუკვეთეს ოსტაპ ბენდერის ქანდაკება. მოქანდაკე დათანხმდა, მაგრამ დაინტერესდა, თუ სად დაიდგმებოდა ეს ძეგლი.

ამ კითხვით ოდესის მერს მიმართეს და მან განაცხდა - „დაე, ერთმა ავანტიურიტმა შეცვალოს მეორე“.

**მაინც სად აპირებდა ოდესის მერი ოსტაპ ბენდერის ძეგლის დადგმას? (8 ქულა)**

***კითხვა №10***

**სად შეგიძლიათ ამოიკითხოთ შემდეგი შინაარსის ფრაზა - „სიცოცხლეში მდუმარი იყო, მოკვდა და ნაზად მღერის“. (4 ქულა)**

***კითხვა №11***

იტალიის ერთ დიდ ქალაქში ბიჭუნა დაიკარგა; მას ჰკითხეს - „დედის კალთაზე რატომ არ გეკიდაო ხელი?“

**რა უპასუხა ბიჭუნამ? (4 ქულა)**

**კითხვა №12**

როგორც ცნობილია, ამერიკის ყოველ შტატს დამოუკიდებელი სახელმწიფოს უფლებები გააჩნია. კერძოდ, შტატ ნებრასკაში სულ რაღაც 25 დოლარად ანიჭებენ ერთ უმაღლეს სამხედრო წოდებას. ეს სრულიად სერიოზულად კეთდება და ჯერ არ ყოფილა შემთხვევა, რომ ტიტულის მიმღებს თავისი „პრივილეგირებულობა“ ბოროტად გამოეყენებინა.

**რა სამხედრო წოდებაა აქ ნაგულისხმები? (12 ქულა)**



რა კომენტარს გაუკეთებდით ამ ფოტოინტერნეტულ ხუმრობას? (საუკეთესო კომენტარის ავტორი დაჯილდოვდება აუდიო კასეტით) დაგვირეკეთ - 79-53-70

# ასეთი ფანტაზია!



**ინტელექტუალთა საზაფხულო ტურნირი მე-4 ტური გაიმართება 3 ივლისს, *ორშაბათს* 18-დან 20 საათამდე**

**თუ ოთხივე კითხვას ზუსტ პასუხს გასცემთ, მიიღებთ 10 ლარს. ორი და მეტი გამარჯვებული პასუხის შემთხვევაში ეს 10 ლარი თანაბრად გაიყოფა გამარჯვებულებზე. მე-5 საპრემიო პასუხის სწორი ამოცნობისათვის დამატებით მოგეცემათ 5 ლარი, ოღონდ... საპრემიო პასუხი ჩაეთვლებათ მხოლოდ მათ, ვინც საკონკურსო ოთხ კითხვას ზუსტ პასუხს გასცემს. საპრემიო კითხვაზე პასუხის გაცემა სავალდებულო არ არის. თანხა გამარჯვებულებს სურვილისამებრ მიეცემათ სამი ტურის შემდეგაც.**

***ტურნირის საბოლოო გამარჯვებულს დამატებით გადაეცემა 10 ლარი.***

**პასუხები მიიღება ტელეფონით; დაგვირეკეთ:**

**79-53-70 ან 8 (77) 45-19-80**

**მესამე ტურის პასუხები და შედეგები:**

1. **არგენტინა**. 2. **ეგვიპტელები გააოცა იმან, რომ თურმე მდინარეს სამხრეთისაკენაც (დაღმა) შეუძლია დინება (ნილოსისაგან განსხავებით)**. 3. **ეს ექიმი იყო სტომატოლოგი** (პროთეზისტი არ ითვლება). 4. **გაზეთი „ფანტაზია“** (ფა - მუსიკა, ფანტა - მფლანგველობა და აზია - აღმოსავლური საწყისი). საპრემიო კითხვა - **მთარგმნელი.**

ტურში მონაწილეობა მიიღო 30-მა მონაწილემ. ოთხივე კითხვა გამოიცნეს ვლადიმერ ყაჯრიშვილმა, მერაბ წიკლაურმა და ანდრო მჭედლიშვილმა; მათ გადაეცემათ 15-15 ლარი. 3-3 კითხვა გამოიცნო 6-მა მონაწილემ; 7 მონაწილეს ქულა არ დაეწერა.

იმის გამო, რომ საპრემიო კითხვის გამოცნობა შეძლო მხოლოდ გია ჯვარშეიშვილმა, მას ეს ქულა დამატებით დაეწერება.

სამი ტურის შემდეგ:

**9 ქულა** - მერაბ წიკლაური (10 ლარი)
**8 ქულა** - ნოდარ გოქაძე, გია ჯვარშეიშვილი
**7 ქულა** - ვაჟა პაპუაშვილი
**6 ქულა** - ანდრო მჭედლიშვილი (10 ლარი)
**5 ქულა** - დიანა საღრიშვილი, ვლადიმერ ყაჯრიშვილი (10 ლარი)

**4 ქულა** - გიორგი გვასალია, დავით ბასილაია, ბაჩანა შენგელია. **3 ქულა** - თორნიკე თოფურიძე, ვახტანგ ნანავა, გიორგი ციბაძე, თამრიკო დამენია. **2 ქულა** - სოფიკო დუნდუა, პაატა თალაკვაძე, დათო ჭილიტაშვილი, თეა კაციტაძე, ივანე ბერიანიძე. **1 ქულა** - ნუკრი მაისურაძე, ლალი პაპიაშვილი, ლევან ჩიგოგიძე, ბესო ჩუბინიძე, ნათია ჩუბინიძე, თემურ აფციაური, მზია ღვინიაშვილი.

**კითხვა №1**

ამ საგანზე, რომელიც პრუსიის მეფემ ნიკოლო პაგანინის აჩუქა, ამოტვიფრული იყო - „თითოეული ჭრილობას გვაყენებს, უკანასკნელი გვკლავს“.

***რა საგანია ეს?***

**კითხვა №2**

ბოლივია, ლიხტენშტეინი, ფილიპინები, კოლუმბია, ამერიკის შეერთებული შტატები...

***რა აქვთ საერთო ამ ქვეყნებს?***

**კითხვა №3**

ერთხელ XX საუკუნის ერთი ცნობილი ამერიკელი მწერალი იაპონიაში ჩავიდა და საშინლად შეწუხდა იმის გამო, თუ როგორ იყო თარგმნილი მისი უმთავრესი რომანის სათაური იაპონურ ენაზე. ეს თარგმანი დაახლოებით ასე ჟღერდა - „გაბრაზებული ქიშმიშები“

***რა ჰქვია ამ რომანს სინამდვილეში (...ანუ ქართულად როგორ ჟღერს?)***

**კითხვა №4**

ინგლისელმა ბოტანიკოსმა გ.გობჰაუზმა გამოუშვა წიგნი სათაურით - „ხუთი მცენარე, რომლებმაც სამყარო შეცვალეს“. ამ მცენარეებში მან იგულისხმა ის სახეობები, რომლებმაც უდიდესი ზეგავლენა იქონიეს მსოფლიოს მოსახლეობაზე უკანასკნელი 500 წლის განმავლობაში.

***ჩასათვლელი ქულის მისაღებად საკმარისია თუნდაც სამი მათგანის დასახელება?***

**საპრემიო კითხვა**

პოლ გოგენმა ერთხელ თქვა - „ხელოვნება ან პლაგიატია ან.... ***რა?***



**თარაზულად**: 1. სიტყვა რომლის წარმოთქმაც ზოგს უჭირს,ზოგი კი პრინციპულად არ ამბობს. 4. ძველ რომში სახელმწიფო თანამდებობის „თეთრტოგოსანი“ მაძიებელი. 8. ისტორიული რეგიონი დღევანდელი თურქეთის ევროპული ნაწილის ტერიტორიაზე, საიდანაც იყო წარმოშობით სპარტაკი. 13. ის, რასაც სასამართლოში ეძებენ. 14. ოქროთი მდიდარი რეგიონი ჩრდილოეთ ამერიკაში, სადაც ვითარდება ჯეკ ლონდონის უმრავლესი რომანის სიუჟეტი. 15. ზოგი მას ეწირება... საქმის წარმმართველიცაა ის... ვიქტორ ჰიუგომ კი მას სიტყვების ტყეში მობინადრე ფრინველი უწოდა.. რა არის ეს? 18. უმაღლესი სამეცნიერო წოდება. 19. ქალაქი საფრანგეთში, ლა-მანშის სრუტის პირას. 23. ლაღი და უდარდელი ფრენა. 24. ბიბლიური პერსონაჟი. 25. ომის მოწინააღმდეგე პირი. 29. ცეკვა, რომლის შესწავლასაც 1 მანეთად სთავაზობდა მორგუნოვის გმირი აუდიტორიას ერთ ცნობილ ფილმში. 30. საფოსტო გზავნილი. 31. სახელი თანამედროვე ფრანგი მომღერლისა, რომელსაც მეორე ედიტ პიაფს უწოდებენ. 34. ძველ საბერძნეთში ხელნაწერის გრაგნილზე დაწებებული პირველი ფურცელი, რომელზედაც აღნიშნული იყო თარიღი და დამწერის სახელი... ამ ცნებამ შემდგომში სახელი მისცა ყოველგვარი წესების ერთობლიობას. 35. ისტორიული სახელმწიფო დღევანდელი საფრანგეთის ტერიტორიაზე, რომლის დაპყრობითაც იულიუს კეისარმა ძლიერ მოიხვეჭა სახელი. 36. ყველაზე ცნობილი „იტალიელი ბელგიელის“ (...თანაც ფეხბურთელის) სახელი. 40. ისტორიული ოლქი ცენტრალურ ევროპაში დღევანდელი ბალტიისპირეთის ტერიტორიაზე. 41. კუთხე კომპასზე. 42. ხაზი, რომლის წინაც ყველა თანასწორია. 45. მოწყობილობა, რომლითაც ხდება ლატარიის გათამაშება. 46. რა ერქვა ლაღიძეების ყველაზე ცნობილ წარმომადგენელს ბიზნესის სფეროდან? 50. წინა სასიკვდილო მდგომარეობა. 51. ახლო წარსულის ფრანგი ფეხბურთელი. 52. საბერძნეთის მთიანი მხარე, რომელმაც სახელი მისცა იდილიურ პოეზიაში მწყემსთა ბედნიერ ქვეყანას. 56. აიღეთ რომაული „ასი“ და „ერთი“, ჩასვით მათ შორის „ორმოცდაათი“, დაუმატეთ ამ ყველაფერს ჩვენებური ნული და მიიღებთ სახელს იმ მითოლოგიური პერსონაჟისას, რომელიც ასე ჩავხლართეთ აქ. 57. სათხრელ-სამშენებლო მანქანა. 58. ცხოველური ორგანიზმის ერთ-ერთი ფიზიოლოგიური რეაქცია. 61. ცნობილი რუსი ისტორიკოსი. 62. ის, რის მოახლოებისასაც ნებისმიერ ფილმში რეკლამა ჩნდება... ახლა. 65. საგზაო ტრანსპორტი, რომელსაც ტენესი უილიამსის ერთ პიესაში სახელად „სურვილი“ ჰქვია. 66. არალეგალური გზით დაბეჭდილი საagიტაციო ფურცელი. 70. ის, რისი გაყიდვითაც ცხოვრების დაწყება უნდოდა ერთ გლეხს ცნობილ მულტფილმში. 71. სოფლის მამასახლის ხელქვეითი. 72. ყველაზე პოპულარული სახელი აშშ-ში ჩვენი საუკუნის 60-70-იან წლებში. 73. ...... ჟან დიუ პლესი, ჰერზოგი დე რიშელიე. 78. ადამიანი, რომელსაც პატარა თავი აქვს. 79. ჩასვით გამოტოვებული სიტყვა ფრაზაში რომლის მსგავს წარწერებსაც შეიძლება წავაწყდეთ თანამედროვე მოსკოვის ეზოებში – „............. ჩემპიონია“. 82. რა არის რელიგია ხალხისათვის მარქსის ძალზედ ცნობილი გამოთქმის თანახმად? 83. ქიმიური ელემენტი, რომელიც ჩვენი კბილების სიმაგრის გარანტიას წარმოადგენს დღეს. 84. თუ შეგინიშნავთ თურქულ რვეულებზე არის წარწერა „**Okul defteri**“... რას ნიშნავს სიტყვა „**Okul**“? 85. სახელი კაცისა, რომელმაც მსოფლიო ისტორიაში 2000 წლიანი მონაკვეთი განსაზღვრა. 89. რა მიმდინარეობს ვამპირთან ერთ ცნობილ ფილმში ტომ კრუზისა და ბრედ პიტის მონაწილეობით? 90. რა არის პროთიუმიც, დეიტერიუმიც და ტრიტიუმიც წყალბადთან მიმართებაში? 91. გერმანელი გამომგონებელი, შიგაწვის ძრავის ერთ-ერთი სახეობის შემქმნელი. 92. რუსი კაცების სახელი (რუსულ კონტექსტში). 93. მაფიის „სამშობლო“. 94. არაკეთილსინდისიერი ხერხი რაიმეს მისაღწევად.

**შვეულად:** 1. უფროსი დასავლეთის ქვეყნებში. 2. ის, რისი დამყარებაც ჩვენს ქვეყანაში მიმდინარეობს. 3. თამაში-გამოცანა, რომელშიც ჩაფიქრებული სიტყვა დაყოფილია ნაწილებად და თითოეულ ნაწილს აქვს დამოუკიდებელი მნიშვნელობა. 5. ქალაქი აშშ-ში, სადაც მოკლეს ჯონ კენედი. 6. ის, რაც ზაფხულთან ერთად შეიძლება წავიდეს ჩვენი ბინებიდან... წარსულის გამოცდილებიდან გამომდინარე 7. ჩამოყალიბებული წეს-ჩვეულება. 9. ჯორჯ ისტმენის მიერ შექმნილი ფოტო საქონლის მწარმოებელი უდიდესი კომპანია. 10. ჩახურებული ფქვილი. 11. გვარი კაცისა, რომელმაც 17 ენა ისწავლა მანამდე, სანამ მისი ოცნების ქალაქს აღმოაჩენდა და სახელს გაითქვამდა. 12. ევროპის რეგიონი. 16. ამა თუ იმ ქვეყნის სამეურნეო ცხოვრება. 17. წრის ნაწილი. 20. ცეცხლსასროლი იარაღი, რომელსაც სახელი იტალიის ქალაქმა, პისტოიამ მისცა. 21. ერთგვარი სიგარეტების „ზედწოდება“. 22. ინტერესთა შეურიგებელი დაპირისპირება. 26. აკუსტიკური მოვლენა, რომელსაც ახალი კინოთეატრები გვთავაზობენ. 27. რაიმეს დაშლა ნაწილებად შემდგომში ამ ნივთის შესწავლის მიზნით. 28. ფლორის ერთ-ერთი წარმომადგენელი. 32. გრძელ მანძილებზე მორბენალი. 33. უდიდესი მიკრობიოლოგი კაცობრიობის ისტორიაში. 37. სტატუსი, რომელიც კოსოვოს და ნახიჭევანის გააჩნიათ. 38. პოსეიდონის მეუღლე ძველ ბერძნულ მითოლოგიაში. 39. რა წოდების იყო შტირლიცი? 43. მაღაროების განუკურნებელი სენი. 44. გეომეტრიული სხეული, რომელსაც მომდევნო კითხვის მთავარი პერსონაჟი სამყაროს ადარებდა. 47. უდიდესი ფრანგი ფიზიკოსი და ფილოსოფოსი, პირველი საანგარიშო მანქანის შემქმნელი. 48. სპეციფიური სახელი ქალისა ხევსურეთში. 49. იტალიის საფეხბურთო კლუბი. 53. თანამედროვე აუდიომაგნიტოფონების ბგერის გამაძლიერებელი. 54. სამხრეთ ამერიკაში გავრცელებული ხე. 55. ის, რაზედაც ზრუნავენ დეკორატორები. 59. აღმოსავლური თავსაბურავი, რომელშიც ვერც ერთ ნაკერს ვერ შეხვდებით. 60. ზოგი ქართველი კაცის სახელი. 63. ვინ იყო ფრედი მერკური წარმოშობით? 64. თითქმის ყველა დეტექტივის აუცილებელი პერსონაჟი. 67. ნიუ-იორკი და ტოკიო თავისი არსით. 68. ინგლისელთა ეროვნული სპორტი. 69. ანა კარენინას სიკვდილის მთავარი მიზეზი. 74. მთის ქურციკი. 75. მარკ ტვენი ამბობდა: „გაიფიქრეთ სისულელე, წარმოთქვით ამ სისულელის საპირისპირო და მიიღებთ...“ რასაც მიიღებთ ის აქ ჩაწერეთ. 76. გერმანული ავტომობილი. 77. ბურატინოს იტალიელი ნათესავი. 80. მდინარე რუსეთში, ვოლგის შენაკადი. 81. როზგი – თავისი არსით. 86. ახალ ზელანდიაში გავრცელებული ფრინველი. 87. გენეოლოგიური ხის ნაწილი. 88. იტალიელთა ეროვნული საჭმელი.

**შეადგინა გოგა ტარიელაშვილმა**

# აფორიზმების ანთოლოგია

**503**. მთვრალი კაცი სამყაროს ჭეშმარიტი ცენტრია... მის გარშემო ყველაფერი ბრუნავს.

**ემილ ოჟიე**

**504**. მთვრალი კაცი ეს არის სუბიექტი, რომელიც ერთდროულად რამოდენიმე მიმართულებიდან შეიძლება მოგიახლოვდეს.

**უცნობი ავტორი**



**505**. ლოთი ეს არის კაცი, რომელსაც ღუპავს სასმელი და სასმელის არქონა.

**უცნობი ავტორი**

**506**. ლოთი ეს არის კაცი, რომელიც წელიწადში მხოლოდ ოთხჯერ სვამს სამ-სამი თვის განმავლობაში.

**უცნობი ავტორი**

**507**. ლოთი ეს არის ნებისმიერი კაცი, რომელიც სვამს უფრო მეტს, ვიდრე მისი ცოლი.

**უცნობი ავტორი**

**508**. ძველ ლოთებს უფრო ხშირად შეხვდებით, ვიდრე ძველ ექიმებს.

**ფრანსუა რაბლე**

**509**. ალკოჰოლიზმი არ არის საყურებლად გათვალისწინებული სპორტი, მასში მთელი კოლექტივი მონაწილეობს.

**ჯოის რებეტა-ბერდიტი**

**510**. ერთნი ჭამენ, რათა იცხოვრონ, მეორენი ცხოვრობენ, რათა სვან.

**იანუშ ბელეცკი**

**511**. ერთ ბოთლს ორჯერ ვერ დალევ, როგორც ეს ბრძნულად აღნიშნა ჰერაკლიტემ, მაგრამ ორ ბოთლსაც ვერ დალევ ორჯერ...

**უცნობი ავტორი**

**512**. სავსე ბოთლის მიღმა ქვეყანა ბევრად უფრო სხვაგვარი ჩანს, ვიდრე ცარიელის მიღმა.

**თადეუშ დოლენგა-მოსტოვიჩი**

**513**. არ შეიძლება იმის თქმა, რომ მე ბევრს ვსვამ... მე საათობით შემიძლია სასმელის გარეშე გაძლება.

**ნოუელ კოვარდი**

**514**. მთელი მისი უბედურება ისაა, რომ როცა ის მთვრალია, მაშინ ემგვანება ფხიზელს.

**უცნობი ავტორი**

**515**. რეალობა ეს არის ილუზია, რაც ალკოჰოლის მიუღებლობითაა გამოწვეული.

**ნ.პ.სიმპსონი**

**516**. ნუ გაუშვებთ ხელიდან სიკეთის გაკეთების საშუალებას, თუ ეს თქვენგან დიდ დანახარჯებს არ მოითხოვს; ნუ გაუშვებთ ხელიდან დალევის საშუალებას... ნურასოდეს!

**მარკ ტვენი**

**517**. ანონიმური ლოთები ქვეყნად არ არსებობენ.

**უცნობი ავტორი**

**518**. ღმერთი მფარველობს ბავშვებს, სულელებს და ლოთებს.

**ფრანგული ანდაზა**

**519**. ალკოჰოლიზმი არის ანესთეზია, რაც გვიადვილებს იმ ოპერაციის გადატანას, რასაც სიცოცხლე ჰქვია.

**ჯორჯ ბერნარდ შოუ**

**520**. მე ვსვამ იმისათვის, რომ გარშემო მყოფი ადამიანები საინტერესონი გახდნენ.

**ჯორჯ ჯინ ნეითანი**

**521**. სასმელისადმი ლტოლვა, ქალისადმი ლტოლვისაგან განსხვავებით, დროის მსვლელობას არ ექვემდებარება.

**უცნობი ავტორი**

**522**. თუ გადაიკითხავ ყველაფერ იმას, რასაც დიეტის პრობლემებზე წერენ, დარწმუნდები, რომ თურმე მჭამელებს უფრო მეტი პრობლემები გააჩნიათ, ვიდრე მსმელებს.

**უცნობი ავტორი**

**25 ხაზი**
**30 სვეტი**





**თარაზულად**: 1. გვარი გრიბოედოვის პიესის ერთ-ერთი მთავარი პერსონაჟისა. 5. მუსლიმანური რელიგიური სახელმწიფოს სახესვაობა. 11. დღეს საქართველოში ერთ-ერთი ყველაზე პოპულარული ლევანი. 12. შიდა ქართლის ისტორიული სოფელი. 13. კოსმიური დანიშნულების სხეული. 14. ქართული ტოპონიმი ბულგარულ არეალში. 15. სპორტის ოლიმპიური სახეობა. 16. წესრიგის დამცველი საერთაშორისო ორგანო. 17. რუსი კინორეჟისორი, იული... 20. გადაცემა, რომელსაც 9 საათზე მთელი თბილისი უყურებს. 24. ...იყო ასეთი ბულგარული სიგარეტი. 26. ქალაქი ესპანეთში. 27. ოხუნჯი ნასრედინის ტიტული. 29. გენიალური აღმოსავლელი პოეტი (სახელი და „გვარი“). 30. ქალის ხელსაქმის სახეობა. 32. ბარბარა ბრილსკას ერთი თაყვანისმცემლის როლის შემსრულებელი. 34. ...აქვს კუს და, მგონი, კიდევ რაღაც-რაღაცეებს. 36. ხის მასალით მომუშავე მშენებელი. 37. ლერმონტოვის მთავარი პროზაული ნაწარმოების შემადგენელი თავი. 39. ყურე ირანის სამხრეთ ნაპირებთან. 41. მკვდარი ბალახის შესანახი კონფიგურაცია. 42. სპორტული სამოსი. 43. დიდი გერმანელი ფილოსოფოსი. 44. დოსტოევსკის „იდიოტის“ პერსონაჟი ქალი. 45. (მავანი) რეკორდსმენი ცაავა. 46. საპატარძლო ინვენტარი.

